



გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

მაცნე


სამტრედიის

№8 (9385)

28 აპრილი, 2023 წელი

ფასი 75 თეთრი

სამტრედიის, გომის ადმინისტრაციულ ერთეულში
ადგილობრივი მნიშვნელობის გზის
რეაბილიტაცია მიმდინარეობს



2

ევროპის ჩემპიონი სამტრედიელია



3



როცა მოსახლეობა
კმაყოფილია

2



3

გიორგი მუხომბილი:
“ნებისმიერ დროსა და
სიტუაციაში გპოვნათ
ჩვენი იმედი!”



2

იმუნიზაციის
კვირეულს
სამტრედიის
შეუერთდა



8

კონკურენცია
“მონაკვეთზე
ტრენინგებუდი
მიდგომები ქართული
ენისა და
ლიტერატურის
ხნაველებისა”




“გამარჯვებულს
რა ელის,
ჯერჯერობით
შცნობია”

4

6

ღირ
ბრუნდების
გაუქმდები
გიტბგი
ლდმქსნიბეს



სამტრედიის, გომის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეკონსტრუქციის პროექტის ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ასფალტბეტონის საფარი იგება გომის ადმინისტრაციულ ერთეულში წითელიშვილების უბანში, სადაც ასევე, წესრიგდება ხელოვნური ნაგებობები. სამუშაოების მონიტორინგის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ, ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ამირან თევდორაძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გზის დაგების სამუშაოები დაათვალიერა და ადგილობრივებს გაეცნა.



წინე ნაინტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ასფალტბეტონის საფარი იგება გომის ადმინისტრაციულ ერთეულში წითელიშვილების უბანში, სადაც ასევე, წესრიგდება ხელოვნური ნაგებობები. სამუშაოების მონიტორინგის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ, ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ამირან თევდორაძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გზის დაგების სამუშაოები დაათვალიერა და ადგილობრივებს გაეცნა.

როგორც ადგილობრივებმა განმარტეს, აღნიშნულ ლოკაციაზე კაპიტალური გზა არასდროს ყოფილა და გზის დაგებით მათი მთავარი პრობლემა გვარდება.

“სამუშაოები გეგმა-გრაფიკის დაცვით მიმდინარეობს. მშენებარე კომპანიის მიმართ ჩვენი ერთადერთი მოთხოვნაა, ადგილობრივებს დარჩენ კმაყოფილი და სამუშაოები იყოს უმაღლეს დონეზე შესრულებული”. – ჟურნალისტებთან კომენტარში განაცხადა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ.



როსა მოსახლეობა კმაყოფილია

კაპიტალური გზა სამტრედიის მუნიციპალიტეტში 31 ლოკაციაზე იგება. სოფელ იანეთში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, 24-ე ქუჩაზე ასფალტბეტონის საფარით მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 31 მობრუნებაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ამ დღეებში დავით ბახტაძემ მოინახულა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს თან ახლდნენ მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ამირან თევდორაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები. ოფიციალური სამტრედია ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და გაეცნა.

როგორც დავით ბახტაძემ მედიასთან კომენტარში განმარტა, სამუშაოები გეგმა-გრაფიკის დაცვით მიმდინარეობს და მაქსიმალური ყურადღება ექცევა შესრულების ხარისხს. იანეთში გზის სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია “ლატექსი” ასრულებს. მოსახლეობის თქმით, იანეთის 24-ე ქუჩაზე კაპიტალური გზა აქამდე არ ჰქონიათ და ამდენად, ადგილობრივები ამ პროექტით ძალიან კმაყოფილები არიან.

წინე ნაინტაშვილი



სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ნუზარ ჯაბუჩიას! სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ დავით ბახტაძეს!

ღია წერილი

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, საკითხი ღიად დარჩა, რომ სამტრედიაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსდეს ჩვენი რაიონის ღირსეული მამულიშვილის ირაკლი ქუთათელაძის სტელა სათანადო წარწერით. მისი თავდადებული მსახურება, ადამიანური ღირსების დაცვის ინტერესებისადმი უანგარო ერთგულება რომ ზნეობრივი გმირობის მაგალითია. მან თავი გაწირა და მისთვის უცხო ადამიანის სიცოცხლე განსაცდელისაგან იხსნა. რაც სახელმწიფო ჯილდოთი აღინიშნა. მიენიჭა წმინდა გიორგის ბრწყინვალეების ორდენი. ასეთი მამულიშვილის ხსოვნა იმსახურებს დაფასებას. აპელირება მასზე, რომ სტელის განთავსებას აბრკოლებს კანონი – 20 წლის ხანდაზმულობის დაცვის თაობაზე შემოფერხებელი გარემოება არ არის, რადგანაც კანონი გამოწვევის და შევებასაც ითვალისწინებს განსაკუთრებული შემთხვევისათვის. ამის თვალსაჩინო მაგალითია, როდესაც დედაქალაქში გაიხსნა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძის სახელობის ქუჩა, ასევე, ქ. თბილისში მიეწო ანსამბლ “ერისონის” ხელმძღვანელის, ჯემალ ჭკუასელის სკვერი, დაიდგა ბიუსტი (გამონაკლისის დაშვებამ იმუშავა).

დაბეჯითებით გთხოვთ, საკრებულომ და მერიამ მიიღოთ ერთობლივი გადაწყვეტილება და სამტრედიაში დაიდგას ღირსეული მამულიშვილის ირაკლი ქუთათელაძის, სტელა და უკვლავლო მისი სახელი, ამას თაობები დაგიფასებენ.

ბია ბოჭორიშვილი
9 აპრილი 2023 წელი

იმუნიზაციის კვირეულს სამტრედია შეუერთდა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალი აქტიურად მონაწილეობს იმუნიზაციის კვირეულში და ასორციელებს სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო ღონისძიებებს. სორციელებს საინფორმაციო მასალის გაფრთხილებას სააღმზრდელო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ფილიალის წარმომადგენლები ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელთან, მარინა თევზაძესთან ერთად იმყოფებოდნენ დიდი ჯიხაიშის თემში, სადაც მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია გვემიური იმუნიზაციის და კოვიდ-19 ვაქცინაციის აუცილებლობის შესახებ და გადაეცა საინფორმაციო ფლაერები.

ცნობისთვის: 23-29 აპრილის ჩათვლით, საქართველოს წითელი ჯვრის ფილიალებში ტარდება იმუნიზაციის კვირეული.

კვირეული იმუნიზაციის მნიშვნელობის გაზრდასა ცხოველების ჯანმრთელობის უზრუნველყოფას ისახავს მიზანდ.



ევროპის ჩემპიონი სამტრედიელია

თეა გაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე, მერის მოადგილე გია მეიშვილთან და კულტურის სამსახურის უფროსთან ერთად, საკუთარ სამუშაო კაბინეტში განსაკუთრებულად საპატიო სტუმარს მასპინძლობდა. თამამად შეიძლება ასე ითქვას, რადგან შეხვედრა საერთაშორისო დიდოსტატ, ეროვნული ნაკრების წევრ მოჭადრაკესთან, მერი არაბიძესთან გახლდათ. ამ ოთახსაც ახსოვს და მერი არაბიძემაც გაიხსენა, რომ ჯერ ისევ 19 წლის წინ, როცა იგი 10 წლისა გახლდათ, მუნიციპალიტეტის მაშინდელმა მერმა სწორედ აქ მოუწყო შეხვედრა, როგორც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს. ორი თვის შუალედში გახდა 10 წლის მერი არაბიძე ამ ორი დიდი ტიტულის მფლობელი.

ადრაკისთვის, არამედ როგორც ადამიანისთვის, რომ კიდევ უფრო დიდი მონდომებით შევეცადო ვასახელო ჩემი ქალაქი და ქვეყანა.”

“მერი არაბიძის ევროპის ჩემპიონობა, სასიხარულო ფაქტია საქართველოსთვის. ქვეყნის შიგნით კი, სამტრედიისთვის, რადგან მერი ჩვენი თანაქალაქელი, ჩვენს თვალწინ გაზრდილი მოჭადრაკეა. განსაკუთრებით უხარია სამტრედიას მისი წარმატებები. ვისურვებ მსგავსი შეხვედრები მრავლად გვქონდეს როგორც მერისთან, ასევე სხვა ახალგაზრდებთანაც.” – ამბობდა მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე. იგი მერი არაბიძის სამომავლო გეგმებითაც დაინტერესდა. როგორც აღმოჩნდა, მერი 14 მედლის, აქედან 6 ოქროს, 7 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალია. ახლო მომავალში კი იგი გერმანიაში ბუნდესლიგის საკლუბო ჩემპიონატის დასკვნით ტურებზე გაემგზავრება, რომელიც 27 აპრილს გაიმართება. წარმატების შემთხვევაში კი გერმანიის ჩემპიონი გახდება.



“ჩემი სამტრედიისგან დაფასებასა და გულ შემატკვივრობას ყოველთვის ვგრძნობ”. – ამბობდა მოჭადრაკე, როცა ამჯერად მოპოვებულ მნიშვნელოვან წარმატებაზე საუბრობდა.

ამჯერად კი, 18-დან 29 მარტის ჩათვლით, მონტენეგროში გამართულ ევროპის 23-ე ჩემპიონატზე, რომელიც 11 ტურად ჩატარდა, მე-9 ნომრად მონაწილეობდა და 11-დან 8.5 ქულით ევროპის ჩემპიონი გახდა. იგი მეორე ქართველია, რომელმაც ეს ტიტული მოიპოვა. მერიაში ამჯერად გამართული შეხვედრის მიზეზიც სწორედ ეს დიდი წარმატება გახლდათ.

“როცა მოპოვებული თასი ჩემი თასების კუთხეში დავდებ ერთ თასს წავაწყდი, რომელიც 15 წლის წინანდელი აღმოჩნდა, 14 წლამდე ასაკის მოასპარეშეთა შორის, სწორედ მონტენეგროში გავმხდარვარ ევროპის ჩემპიონი. ერთი სიტყვით, მონტენეგრო წარმატებული ქვეყანაა ჩემთვის.” – აღნიშნა მოჭადრაკემ და დასძინა: “მადლობა მუნიციპალიტეტის მერიას და უშუალოდ მერს ამ ყურადღებისთვის. ეს სტიმულია ჩემთვის, არა მხოლოდ მოჭადრაკის, არამედ როგორც ადამიანისთვის, რომ კიდევ უფრო დიდი მონდომებით შევეცადო ვასახელო ჩემი ქალაქი და ქვეყანა.”

ბიორგი მეიშვილი: “ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში ბქონდეთ ჩვენი იმედი!”

ნინო ნანიტაშვილი



სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ ტრადიციული სააღდგომო ნობათი წელსაც მოუზადა უფასო სასადილო ბენეფიციარებს.

აიპი “სახლი თანადგომას” დირექტორმა, მხევიანარ ბოხუამ, წინასწარ მიულოცა მათ ადღგომის დღესასწაული, წითელ პარასკევს სადილის დასრულების შემდეგ უფასო სასადილო ბენეფიციარებს სანთელი, პასკა, წითელი კვერცხები, კანფეტები დაურიგა.

“ეს ადამიანები ჩვენი მხრიდან თანადგომას, უდიდეს მზრუნველობას, სიბოლესა და პატივისცემას იმსახურებენ. შეძლებისდაგვარად ვახერხებთ, უფასო სასადილო ბენეფიციარებს ყოველდღიურად ცხოვრებისეული პრობლემები მოუვვაროთ. სააღდგომო ნობათს, წლებია, ვამზადებთ და არც წლებიანდელი წელი აღმოჩნდა გამონაკლისი. მინდა, თითოეულ მათგანს ხანგრძლივი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სოციალური პირობების გაუმჯობესება და ჩვენი მხრიდან აქტიური მხარდაჭერა ვუსურვო. მადლობას ვუხდით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას, მუნიციპალიტეტის მერს, დავით ბახტაძეს ჩვენი ბენეფიციარების მიმართ მზრუნველობის საქმეში გამოჩენილი ყურადღებისთვის”. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში განაცხადა “სახლი თანადგომას” დირექტორმა, მხევიანარ ბოხუამ.

სააღდგომო ამანათების დარიგების პროცესში ასევე მიიღო მონაწილეობა და ღირსეული სიბერე უსურვა თანაქალაქელებს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, გიორგი მეიშვილმა: “დღეს მე აქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის და კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერის, ბატონი დავით ბახტაძის წარმომადგენელი ვარ. მინდა, გადმოგეთ ბატონი დავითის უდიდესი პატივისცემა და სააღდგომო მილოცვები. გპირდებით, არასოდეს დაგტოვებთ განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის გარეშე. ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში გქონდეთ ჩვენი იმედი”.

თავის მხრივ მადლიერების გამოხატვას არ იშურებდნენ უფასო სასადილო ბენეფიციარები. განსაკუთრებით კმაყოფილებას კი გამოთქამდნენ სასადილო ინტერეის მოწესრიგებისთვის, სასადილო თანამშრომლების საუკეთესო მომსახურებისთვის.

“სახლი თანადგომას” უფასო სასადილო მომსახურებით სამტრედიაში 133 ბენეფიციარი სარგებლობს. მათთვის სააღდგომო ამანათის შესაძენად ადგილობრივი ბიუჯეტიდან წელს 2762 ლარი დაიხარჯა.

9 აპრილი ტკივილი და სიხარული...

ლევან გაბუნაშვილი

10 აპრილს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გამართა 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება მეორე საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგმა ნატო ჯამბურია.

მონაწილეებმა ზედმიწევნით სიზუსტით გაიხსენეს სისხლიანი 9 აპრილის თბილისური დღი და 1991 წლის 9 აპრილი – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. დარბაზში პატრიოტულმა მუხტმა აიწია მონაწილეთა მიერ საოცარი პათოსით წაკითხული ლექსითა და ცეცხლოვანი ცეკვით.

პარალელურად მონიტორის მეშვეობით ის კადრები გადიოდა კედელზე, რომლებიც ტრაგიკულ მოვლენებს გვახსენებდნენ. დეაწლმოსილმა სამტრედიელმა ჯონი ნადირაძემ

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, ალექსანდრე თევზაძემ, “სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელმა მდივანმა ლევან გაბუნაშვილმა, მეორე საჯარო სკოლის, დირექტორმა თეა კარტოხიამ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ტატა გოგუაძემ გარჯა შეუქმეს ღონისძიების მონაწილეებს, მათ პედაგოგს ნატო ჯამბურიას.

სასიამოვნოა, რომ მეორე საჯარო სკოლამ, უშუალოდ ქალბატონმა ნატო ჯამბურიამ ტრადიციად აქციეს ერის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტების საოცრად მისადაგებელი ღონისძიებებით აღნიშვნა. გამონაკლისს არც 10 აპრილს გამართული ეს საღამო წარმოადგენდა.



ონლაინ ინტერვიუ 101 წლის რესპონდენტთან

ლევან ბაბუნაშვილი

წლებია, აბაშელი პოეტი, უკვე ჩვენი მეგობარი ერმილე თოფურია “სამტრედიის მაცნესთან” თანამშრომლობს. პანდემიური შეზღუდვებისას კვლავ აგრძელებდა ჩვენთან ურთიერთობას და საინტერესოდ მიაჩნდა მის უფროს მეგობარს, აბაშელს, დიახაც რომ, საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ბატონ დავით ვლადიმერის ძე კაჭარავას შესახებ.

სურვილი დამებადა, ბატონი

დავითის შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის მომეთხრო და...

1922 წელს დაიბადა იგი. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ათეული წელი ემსახურა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში. წუხს, რომ საქართველოდან ახალგაზრდები უცხო ქვეყანაში მიდიან სამუშაოს საძებნელად, არადა, თუ ხელს გამოვიდვით და არ დაგიზარებთ, ქართული ბარაქიანი მიწა მშვიერს არავის დატოვებსო, მოგვწერა ბატონმა

დავითმა. როგორც მისი თაობის ადამიანებისთვის, მისთვისაც მძიმედ გასასხენებელია ომის პერიოდი.

მეორე მსოფლიო ომის ძღვევამოსილად დასრულების საქმეში კი სტალინის განუხორციელებელი საუბრობს.

შვილები, შვილიშვილები, მათი შვილები უღამაზებენ ბატონ დავითს ხანდაზმულობის წლებს. ბატონი ერმილესაგან შევიტყვეთ, რომ იგი კვლავ მხნედ და ამაყად გამოიყურება.

ასე რომ, არც ისე ბევრია 100 წელი.

ბატონი დავითი “სამტრედიის მაცნეს” მკითხველია. ვაუაფშაველას ვეძახი ჩემს საყვარელ ერმილესო, მოგვწერა ბატონმა დავითმა. სწორედ ბატონი ერმილეს მეშვეობით მიღის “სამტრედიის მაცნე” ბატონ დავითამდე.

ისღა დაგერჩენია, ხანგრძლივი სიცოცხლე, მშვიდი ხანდაზმულობის წლები ვუსურვოთ ბატონ დავითს და მადლობა ვუთხრათ ბატონ ერმილეს საინტერესო რესპონდენტის გაცნობისათვის.



“გამარჯვებულს რა ელის, ჯერჯერობით უცნობია”

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი “საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის” შესახებ ასორციელებს საგანმანათლებლო პროექტს “რა? სად? როდის?” ფორმატით.

პროექტს საფუძველი 2015 წელს ჩაეყარა. მას ესეების კონკურსის სახე ჰქონდა და პირველი სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებმა, ლიზი დოლიძემ, პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვა თემით “პოლიტიკაში”

წელს კონკურსში სამტრედიის ორი სკოლა იღებდა მონაწილეობას, №1 და №3 საჯარო სკოლები და ორივე ფინალურ ეტაპზე გადავიდა; გუნდის ხელმძღვანელები, ისტორიის პედაგოგები, კახა გალდავა და თეა კუპრეიშვილი.

ფინალს 20 მაისს გაიმართება. “გამარჯვებულს რა ელის, ეს ჯერჯერობით არ ვიცით, სიურპრიზად დარჩებათ.” – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში განაცხადა პირველი საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგმა, გუნდის ხელმძღვანელმა, კახა გალდავამ.

ნინო ნანიტაშვილი

პროექტი: ალღომის ტრადიციები საქართველოში, უკრაინასა და საბერძნეთში

English Book Education, Macmillan Education-თან ერთად, ინგლისური ენის პედაგოგებს კიდევ ერთი მასშტაბური გათამაშება შესთავაზეს. სამტრედიის №12 საჯარო სკოლის Va, Vb, VIa და VIb კლასის მოსწავლეები წინასააღდგომო გათამაშების პირობებს ხალისით, ინტერესით და ურიაშულით შეხვდნენ. გათამაშების პირობების თანახმად, მოსწავლეებმა მოამზადეს პროექტი თემაზე: “ალღომის ტრადიციები საქართველოში, უკრაინასა და საბერძნეთში. მათ თავად მოიძიეს ინფორმაცია ინგლისურ ენაზე, შექმნეს პოსტერები, ჩაატარეს პრეზენტაცია და იმჯერეს სამივე ქვეყნის ტრადიციების მსგავსება-განსხვავებაზე. იმუშავეს, როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად, ისწავლეს ინგლისურ ენაზე მილოცვები და კეთილი სურვილები.

მოდლინს გადააჭარბა მოსწავლეების მიერ შექმნილმა რესურსებმა, გამორჩეული იყო რამდენიმე მათგანი. პრეზენტაციის ამსახველი ფოტოები გადაუგზავნეს პროექტის ავტორებს. გათამაშების მონაწილე მოსწავლეებზე დასაუქრდნენ, Macmillan Education-ის სერტიფიკატებითა და კოლინის ლექსიკონით ხოლო მოსწავლეებს გადაეცემათ Macmillan Education-ის სერტიფიკატები.

“ჩემი და ჩემი მოსწავლეების სახელით ვეველას ვულოცავ ალღომის ბრწყინვალე დღესასწაულს, დღის და მოვევასის სიყვარულით გვეცხოვროს”. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში აღნიშნა მეთორმეტე საჯარო სკოლის პედაგოგმა, სოფო მიქელაძემ.

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს სხვადასხვა სააზროვნო უნარები. მათ სურვილი გამოხატეს, კიდევ სხვა სასკოლო პროექტებშიც მიიღონ მონაწილეობა.

ნინო ნანიტაშვილი



მოსწავლეთა პარლამენტმა მშობლიური ენის დღეს კონფერენსია მიუძღვნა

ნათია ნაცვლიშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდულმა პარლამენტმა, რამდენიმე წელია, საუკეთესო ტრადიცია დაამკვიდრა: ყოველი წლის 14 აპრილს, ენის დღის აღსანიშნავად მოსწავლეები მართავენ კონფერენციას და ენის საკითხებზე სასაუბროდ იწვევენ წმინდა ნაზარს ლუკავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის პედაგოგს, ფილოლოგ ნინო ტონიას. დოკაცია უცვლელია – სამტრედიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

შეხვედრა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მასობრივ დონისძიებათა ორგანიზატორმა, მარიამ ჯულაიძემ გახსნა, მადლობა გადაუხადა რესურსცენტრის წარმომადგენლებს თანამშრომლობისათვის, ასევე მადლიერება გამოხატა ნინო ტონიას მიმართ, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის პარლამენტს ძალიან ხშირად სტუმრობს ინტელექტუალურ თემებზე სასაუბროდ. შეხვედრაზე სთხოვა მას მოსწავლე-ახალგაზრდობის ახალგაზრდული პარლამენტის კურატორმა, ელიკო ანჭუაბია, რომ წაიკითხოს მორიგი ლექცია თემაზე: “გენდერული საკითხები და ‘გეფხისტყალის’”.

მარიამ ჯულაიძე თავის მოხსენებაში შეეხო ილიასა და სამოციანელთა უდიდეს დედას წერა-კითხვის გავრცელების, მწიგნობრობის განვითარებისა და ენის რეფორმის საქმეში. აღნიშნა, რომ “დედაენამ” გააგრძელა ეროვნული იდეა, სკოლის აღსაზრდელები რუსიფიკაციისაგან დაიცვა. ასევე შეეხო 1978 წლის 14 აპრილის ისტორიულ მნიშვნელობას, როცა ქართველმა ახალგაზრდობამ კომუნისტურ რეჟიმს არ მისცა უფლება, კონსტიტუციიდან ამოეღოთ მუხლი, რომლის შედეგად ქართული ენა სახელმწიფო სტატუსს დაკარგავდა.

მოსწავლეებმა თავიანთ რეფერატებში აღნიშნეს, რომ უცხო სიტყვებს და ფრანგულიდან შემოსულ ბარბარიზმებს ქართულმა არისტოკრატებმა გაუღო კარი ქართულ

ენაში, შემდეგ კი რუსულს, ახლა უკვე ინგლისურის პრიმატია და ჩვენი ენა ამ ენის დიდ გავლენას განიცდის. ენობრივი ნორმების გახშირებულ დარღვევებზე მოსწავლეებმა დიდი გულითკითხვით ისაუბრეს. შეხვედრაზე ხაზი გაუსვეს იმას, რომ არათუ უცხოური ენებიდან მოძალებულმა ბარბარიზმებმა წაღვეს ენა, არამედ მნიშვნელოვნად შეიცვალა ქართული სამეტყველო აქცენტი და მანაც განიცადა უცხო ენების არასასიკეთო გავლენა.

ნინო ტონია: “გილოცავთ ენის დღეს, მრავალს დაეწვართ! ქართულ ენას აქვს ძალიან მაღალი დანიშნულება. ამ ენაზე მეტყველოთ გემართებს დაეცვათ და დაეფაროთ იგი, თქვენ უკვე ბრძანით 14 აპრილის ისტორიული შინაარსის შესახებ, რას ნიშნავს სახელმწიფო ენა? ენა არის საკომუნიკაციო, საერთოეო და საზოგადოებრივი საშუალება და ფუნქციონირებს, სახელმწიფო ენა კი ნიშნავს, რომ ის ფუნქციონირებს ამა თუ იმ ქვეყანაში, მას ჰყავს თუ არა ხელმწიფე. ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი, კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფო ენის სტატუსს, ესაა ენა, რომელსაც მოქალაქეები იყენებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობისათვის, ამიტომ, ოფიციალური საქმიანი დოკუმენტაცია უნდა იქარმოებოდეს ქართულ ენაზე. ამასთანავე, ეს არის სწავლების ენა. თუმცა ჩვენ გვაქვს ასევე ვალდებულება, სახელმწიფო ენა განვასხვავოთ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ეროვნული უმცირესობის ენისგან, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი ენა, ზოგიერთ ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო ენის ცნება, რადგანაც ეს ქვეყნები არიან ტოლერანტულნი მათ ტერიტორიაზე არსებული მოსახლეობის მიმართ. ბრიტანეთს, საფრანგეთს თავიანთი დამწერლობები არ აქვთ, ისინი იყენებენ ლათინურ ანბანს, არც გერმანულს და არც ინგლისურს არ აქვთ სადამწერლობო ენა. ისტორიის პარადოქსია და ერთგვარი კანონზომიერების ასახვაა, რომ ქართულ ენას აქვს დამწერლობა, პირობითად თოთხმეტ დამწერლობას შორის, (პირობითად იმიტომ, რომ მარტო



ქართულს აქვს სამგვარი დამწერლობა), ჩვენ როცა ვახსენებთ ქართულ დამწერლობას, ვგულისხმობთ მარტო მხედრულს, მაგრამ გვაქვს ასომთავრული და ნუსხური, არსებობს იეროგლიფური, იდეოგრაფიული დამწერლობაც. ქართულის ანბანური დამწერლობის დახვეწისა და უნივერსალიზაციის გამოვლენაა ის, რომ ჩვენ ხმოვნებსაც ვწერთ, სემიტურ ანბანს – ებრაულს და არაბულს ხმოვნები არ აქვთ, იწერება მხოლოდ თანხმოვანი და ეს არის ძალიან რთული საკითხი, ჩვენი დამწერლობა არის ანბანური, ალფაბეტური, ჩვენი უძველესი ძეგლები ეპოგრაფიკულია. გვაქვს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეშეც, ბოლნისის სიონის, წყისის მცხეთის წარწერა. ამ ეპოგრაფიკულ ძეგლებში ჩნდება ნუსხური დამწერლობის ელემენტები, თუმცა ნუსხურით იწერებოდა უკვე ხელნაწერები, მანუსკრიპტები გახლავთ ჭილის და ეტრატის მასაღაზე შესრულებული და გვიან ჩნდება ქადაღი, რაც იაფ საწერ საშუალებად მიგვაჩნია, რადგან შეგვიძლია, მალე მოვიპოვოთ, ოდესღაც კი ტყავზე წერდნენ, რაც მოთხოვნიდა დიდ შრომას და გარჯილობას, ძირითადად იწერებოდა რელიგიური ტექსტები, წმინდა ტექსტი წმინდა მასაღაზე უნდა შესრულებულიყო, არ შეიძლებოდა შეცდომის დაშვება, გიორგი მთაწმინდელს მეღვინე დაეგვარა და თქვა, დედაწლის გამო მირულებასა შინა



ვიყავ (ანუ მძინარე) და მიწოდით მიწერილი, ანუ ის ბოდიშს იხდის, თუმცა სულიერად ის მუდამ ფხიზლობდა! მეცხრე საუკუნემდე არ არსებობდა სასვენი ნიშნები, ე.წ. განკვეთილობის ნიშნები, ის მეორეთმეტე საუკუნეში შემოიტანა ფერემ მცირემ. ასე უწოდა მან თავის თავს, მას ჩვენ ვუწოდებთ ფერემ დიდს, ის გვარად არის კარისძისძე. თქვენ ისაუბრეთ ილიას დედაწლზე, მინდა ვახსენოთ ანტონ კათალიკოსის დედალიც, ის იყო დიდი ფიგურა კულტურისა და ისტორიისა. ანტონ კათალიკოსი გააკრიტიკეს სამი სტილის თეორიის გამო, თუმცა დღეს მართლაც გვაქვს აკადემიური, მხატვრული და ოფიციალური, საქმიანი სტილი. სახელმწიფო ენის ნორმებს ადგენს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, რომელიც იცავს ენის კონსტიტუციურ სტატუსს, ზრუნავს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვაზე, გამოსცემს ბი-

ულეტენებს. ბოლოს გამოცემულ ბიულეტენში განმარტებულია: თუ წინათ იწერებოდა ერთიანი და -ლი ახლა უნდა დავწეროთ ერთიანი და -ელი. ასევე თუ წინათ ხაზგასმით გამოვლით უნებლიეთ, ახლა უნდა ვთქვათ: უნებლიედ!” მოსწავლეთა პარლამენტის წევრებს სიტყვით მიმართა საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარმა სპეციალისტმა, ალექსანდრე თევზაძემ: “როგორც დიდი ილია ბრძანებს, სამი დედაბერივე საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან, ჩვენ ამჟებში უნდა ვიყოთ ჩვენი ენით, გადავხედოთ ისტორიას, ჩვენ გამორჩეული ხალხი ვართ, რას გაუძლო ჩვენმა ქვეყანამ, დღეის ხელი რომ არ ერიოს ამაში, რა გადაგვარჩენდა ამ მტრულ ისტორიულ გარემოცვაში მყოფ ქვეყანას? ხმაღლა კვეთებაში სისხლის ღვრასა და ვაგებაში გამოვლილი ხალხი ვართ, ვისურვებთ, გაუფრთხილდეთ და მოუაროთ ჩვენს ამ ერთ-ერთ უწმინდეს საუნჯეს!”

სტუმრად ბიბლიოთეკაში

ლევან ბაბუჩავა

13 აპრილს ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი დონისძიება მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართეს ქალაქის მეექვსე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (სკოლის დირექტორი ლეილა კუბლაშვილი).

ქართული დამწერლობის, ანბანის, ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული ძეგლების მნიშვნელობაზე ვრცლად და ამომწურავად ისაუბრეს სკოლის პედაგოგებმა, ნინო ჭვალაძემ და ეთერ შენგელიამ. მერე დონისძიებაში მოსწავლეები ჩაერთვნენ.

“დედა ენის” დღისადმი მიძღვნილი კვირეული ბიბლიოთეკაში სტუმრობით დავასრულეთ და “დედა ენის” მიხედვით, მოსწავლეთა ჩართულობით მომზადებული ეს ხელნაწერი წიგნიც ქართული ენისა და ესთეტიკის კათედრის ხელმძღვანელობით დავამზადეთ, აუწყა დარბაზს პედაგოგმა ეთერ შენგელიამ.

ბიბლიოთეკის ანალიტიკური სამსახურის უფროსმა იზაბელა ლეგაშვილმა, სამკითხველო დარბაზის უფროსმა ბიბლიოთეკარმა რუსუდან კახიანიმა გარჯა შეუქმეს მოსწავლეებს, პედაგოგებს და სურვილი გამოთქვეს, ტრადიციად იქცეს თანამშრომლობა სკოლასა და ბიბლიოთეკას შორის.

დაბოლოს, ვასრულებ დანაპირებს და მეექვსე სკოლის ქართული ენის კათედრას, შესაბამისად მოსწავლეებს პირადი ბიბლიოთეკიდან ვუწქნი იაკობ გოგებაშვილის წიგნს – “საგანძური”. ყონად მეექვსესკოდელებს!



30საგ ლიტერატურა უწყარს

დიდ ტრუმენდაციას გაუწიედი გითბგი ლიტერატურის

ნათია ნაცვლიშვილი

თონა (თეკლა) გაბედავა პროფესიით მუსიკოსია, იგი მეთორმეტე საჯარო სკოლის დაწყებით კლასებს მუსიკასა და ხელოვნებას ასწავლის. ჩვენს სწორედ სკოლაში, ერთ-ერთ ღონისძიებაზე გავიცანით. ნიჭიერი და ერუდირებული ახალგაზრდა ქალბატონი სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუს. ჩვენს რუბრიკაში "ვისაც ლიტერატურა უყვარს" იგი მუსიკისა და ლიტერატურის საინტერესო სინთეზზე საუბრობს.

– თქვენ მუსიკალური განათლება გაქვთ, ლიტერატურა და მუსიკა სად გადაიკვეთებოდა?

– ლიტერატურა და მუსიკა მუდმივად იკვეთებიან ერთმანეთთან, თუნდაც მხოლოდ იმით, რომ ორივე ხელოვნების დარგია, იზიარებენ ჟანრებს, მსოფლიო მიმდინარეობებს, სტილურ ესთეტიკას და იდეოლოგიას. ზუსტად არ ვიცი, რომელი უფრო ადრე შევიყვარე, მგონი, ორივე ერთად, მსოფლიო ლიტერატურის ბევრი შედეგები სწორედ მუსიკამ გამაცნო, მაგალითად, ბეთჰოვენმა წამაკითხა შილერი. როდესაც გენიალურ "მეცხრე სიმფონიაში" გუნდი შეიყვანა შილერის ტექსტზე, გამიხსნა სურვილი, კიდევ უფრო ახლოს გამეცნო მისი შემოქმედება. გლუკის ოპერებით ვეზიარე ვერიპიდეს "იფიგენიას", შუბერტით – გოეთეს არაჩვეულებრივ ტექსტებს და მრავალი სხვა. ძველი მითები, ლეგენდები, კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურა ერთ-ერთი მთავარი მასაზრდოებელი წყაროა მუსიკისათვის. რომანები, ზღაპრები, ტრაგედიები, პოემები თუ ლექსები ხშირად ხდებიან მუსიკალური ნაწარმოებების ინსპირაციის წყარო.

– რა ჟანრის ლიტერატურა უფრო გიზიდავთ?

– თითქმის ყველა ჟანრი მიყვარს, თუმცა ჩემს სასიათთან ახლოს სასიყვარულო რომანები, მისტიკა, ზღაპრები და ტრაგედიებია, ზოგადად, მომწონს ყველაფერი, სადაც ჩანს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, ცხოვრებისეული სირთულეები,

სულიერი სიახლოვე, ქმედებით გამოწვეული ტრაგედიის გარდაუვალობა... მაღლეებს ასეთი ისტორიები და კითხვისას მიღებული ემოციური მუსიკის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩემთვის.

– ვინ შეგაყვარათ კითხვა?
– დედა, თვითონ ხშირად კითხულობდა, ზღაპრებს გვიყვებოდა, სამწუხაროდ, ოჯახში მწირი ბიბლიოთეკა გვქონდა, ამიტომ საბავშვო წიგნები, რაც კი წამიკითხავს, სხვადასხვა სახელებიდან ხვდებოდა ჩემს ხელში. დეიდას ჰქონდა კარგი ბიბლიოთეკა, თავადაც მირჩევდა წიგნებს, წაკითხვის შემდეგ დაბრუნება მენანებოდა ხოლმე. ასე გავეცანი ალისას საოცარ ამბებს, ჩორვენს და პელეს, ბურატინოს, კარლსონს, ჩიპოლინოს, პატარა პრინცს, ტომს, პეკის, პეპის, ემილის და ბევრ სხვას. ახლა ვცდილობ, ყველა ის წიგნი, რომელმაც ბავშვობა გამიფერადა, სწორედ ის ძველი გამოცემა შევიძინო და ჩემს შვილებს წავაკითხო.

– ვისთან გჩვევიათ სულის-შემძვრელ წიგნებზე საუბარი?

– რა თქმა უნდა, ასეთ წიგნებზე ყველასთან ვერ ისაუბრებ, სიმართლე გითხრათ, მომენატრა კიდევ ლიტერატურული პოლემიკა, შთაბეჭდილებების გაზიარება, სტუდენტობისას ხშირად ვსაუბრობდით მეგობრები ამ თემებზე, ალბათ, დროის სიმცირეცაა მიზეზი სხვა პრობლემებთან ერთად, რის გამოც დიდი ხანია წიგნებზე არ მისაუბრია.

– მწერლები, რომელთა წიგნებს ელით?

– დიდი ხნის განმავლობაში ველოდი დევიდ მიჩელის "დრუმლების ატლასის" თარგმანს. წიგნამდე ფილმი ვნახე, იგივე სახელწოდებით, არაჩვეულებრივი ფილმია ვანოვსკების ჩვეული რეჟისურით და დამატკეპველები საუნდტრეკით, როცა ბოლოს და ბოლოს ითარგმნა, გავიქეცი "ბიბლუსში" და საჩუქრად მივართვი ჩემს თავს. ეს წიგნი დღემდე ამოუწურავია ჩემთვის, აქ მოცემულია ექვსი სხვადასხვა ადამიანის სხვადასხვა დროში ყოფნა და ამ ყოფნაში მათი სიცოცხლეების გადაჯაჭვულობა, ცოტა რეინკარნაციის თემაა, რისიც რელიგიური თვალსაზრისით არ მწამს, მაგრამ ძალიან საინტერესოა ამ ადამიანების გადაკვეთა, სხვათა შორის, აქაც არის

მუსიკასთან დიდი კავშირი, "დრუმლების ატლასი" – ასე ჰქვია მუსიკას, რომელსაც ერთ-ერთი ქმნის იმ ექვსიდან და ყველას ცხოვრებაში ეს ლაიტ-მოტივია. საინტერესოა, რომ სექსტეტიკა, 6 მუსიკალური საკრავისთვისაა დაწერილი, სახელიც არაა შემთხვევითი, სულის მოგზაურობაც ხომ დრუმლებშია. საერთოდ, ბევრი სიმბოლიკა აქვს წიგნს, დრამატურგიულად უცხოა, ფილმშიც უამრავი სამახსოვრო კადრია, თუმცა განსაკუთრებით მომწონს კადრი, როცა სტერეოტიპების მსხვერველი გამოხატულია პირდაპირი მნიშვნელობით ძვირფასი თევზებისა და ღარნაკების მსხვერველი და ეს ძალიან სიმბოლური და ამადლეველია.

– კლასიკას ერთგულობთ თუ ბესტსელერებს?

– ძირითადად, კლასიკაზე გავიზარდე, მაგრამ ბესტსელერებსაც სიამოვნებით ვეცნობი.

– პოეტური ბუნება გაქვთ? საყვარელი პოეტების ლექსები გასხოვთ?

– დიახ და დიახ, პოეტური ბუნება მაქვს ყველგან და ყველაფერში. რა თქმა უნდა, მახსოვს, ზოგიერთი მათგანი ლოცვასავით მშველის რთულ მდგომარეობაში, მაგალითად, გალაკტიონის "ატმის რტო", პაოლოს "პირამიდები", ხარანაულის, რატიანის, ამაღლობელის, წერეთლის, სხვების ლექსები. ისე, ჩემთვის პოეტურობის საწყისი სპარსული და არაბული პოეზიაა. ჯერ ხომ თემატიკაა საოცრად მომაჯადოებელი, თავგანწირული და წმინდა სიყვარულით, მერე სიმეტრიული წყობა გნუსხავს, რითმული მუსიკალურობა ხომ საერთოდ თავბრუდამხვევია და ეს ყველაფერი ჯამში ქმნის ყველა იმ თვისებას, რაც პოეზიას უნდა ჰქონდეს. სუფიურია ასეთი პოეზია და დერვიშების ცეკვის მსგავსი. ვფიქრობ, სწორედ ესაა პოეზიის მთავარი მისაღწევი მიზანიც, ანუ გარდასახვის ხელოვნება, ამაღლებამდე მისული სულის მდგომარეობა! დიდ რეკომენდაციას გაუწევი გიორგი ლობჯანიძეს, მისი ლექსები და თარგმანები ძალიან სასიამოვნოდ და ჟრუანტელით იკითხება, მიყვარს მისი "არაბულის მასწავლებელი" და "დაზალები", რომელიც ჯალალედ დინ რუმის თარგმანია.



– თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებს რამდენად ახლოს იცნობთ?

– თანამედროვე ქართული ლიტერატურა საინტერესოა, როცა სალომე ბენიძის "ქალაქი წყალზე" წავიკითხე. ამაღლევა და ძალიან ჩემად მივიღე, რადგან სიტყვები, მოქმედებები, განცდები და სადღაც ქსოვილებში მიმაღული, საკუთარი თავისგანაც გარიდებული დარღების ძაფი გამიხსნა, ამოქაჩა, ამოარღვია და გორგალივით მომიტანა თვალებთან, თავიდან გადამიხსნა და დამანახა, რომ არაფერიც არ ქრება, ყველაფერი შიგნით გვაქვს ჩაბუდებული. ეს წიგნი გოგობზეა, მათ დარღებზე, შიშზე, ტკივილებზე, სიყვარულსა და სიძლიერეზე. ყველა გოგო ქალღმერთია, ვისაც ეს ყველაფერი აუტანია და გადაუტანია, სალომეს თარგმანებიც ძალიან კარგია, მარტო რუპი კაურის "რქე და თაფლი" რად დირს. საინტერესოა მწერლები არიან აკა მორჩილაძე, ნინო ხარატიშვილი, ზაირა არსენიშვილი, ბუღაძის სატირაც მომწონს. პირადად მე, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ორ ძირითად ტენდენციას გამოგოფოვდი: 1. წერის თავისუფალი, ადვილად გასაგები სტილი და ყოფითი, ცხოვრებისეული თემატიკა, 2. ყველასთვის ვერმისაწვდომი დრამატურგია და რთული შინაარსობრივი სპექტრი.

– უკაცრიელ კუნძულზე რა წიგნს წაიღებდით?

– ალბათ, უილიამ გოლდინგის "ბუზთა ბატონი" იქნებოდა ერთადერთი, თუ არა, ერთ-ერთი მაინც, რომ არ დამვიწყებოდა, რადამდეუპელი სიბნელე იმაღე-

ბა ნებისმიერ ადამიანში, თუ გარემოებებიდან გამომდინარე, ამ ბნელს გარეთ გამოსვლის საშუალებას მისცემ.

– წიგნში ამჯობინებთ კითხვას თუ პლანშეტში?

– წიგნს ვანიჭებ უპირატესობას, ტექნიკა მდლის, თანაც წიგნის სუნს რა სჯობს!

– რომელიმე ცნობილ მოღვაწესთან შეხვედრას გაიხსენებთ?

– პირველი ასეთი შეხვედრა მქონდა ნოდარ ტაბიძესთან, გალაკტიონის ძმისშვილთან, ვიყავი 12 წლის, ახალბედა პოეტების აღმოჩენის მიზნით თბილისში ჩატარდა პოეზიის და მუსიკის სადამო, სადაც მუსიკალური სკოლის მასწავლებელმა გამიშვა, რადგან ბავშვობიდანვე ვწერდი ლექსებს (ეს სენი დღემდე მომყვება), იქ გალაკტიონის შესახებ დაწერილი მისივე წიგნით დამასაჩუქრა ავტორმა, ნოდარ ტაბიძემ, ასე წააწერა: "თონა, გახსოვდეს, პოეზია უპირველეს ყოვლისა!" მეორე ასეთი შეხვედრა მქონდა დათო ტურაშვილთან სკოლაში და სტუდენტობისას კონსერვატორიაში ლაშა ბუღაძესთან. შეხვედრივარ არაჩვეულებრივ კომპოზიტორებს: გ. ბზვანელს, ნ. მამისაშვილს, გ. ყანჩელს, ცნობილ პიანისტებს, კლასიკურ მომღერლებს, მხატვრებს თუ თეატრის მსახიობებს. ამ ყველაფრის საშუალება სტუდენტობამ მომცა, ამისთვის დიდი მადლობა ჩემს მშობლებს. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გატარებული წლები საუკეთესო იყო, არის და სულ დამრჩება მეხსიერებაში თავისი დახვეწილობით, უნიკალურობით და ესთეტიკური ცნობიერებით!

სასწავლო პროექტი, რობოტი ქეთო და “მაკდონალდსის” ქველმოქმედება

ნათია ნაცვლიშვილი

სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის ნომერ პირველი საჯარო სკოლის ისტ-ის (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) პედაგოგმა ხატია ძიგუამ მოსწავლეებთან ერთად განახორციელა საინტერესო პროექტი თემაზე: “ხელოვნური ინტელექტი”. მასთან ერთად პროექტში მონაწილეობდა სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი, ნათია თარგამაძე. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა არის ხელოვნური ინტელექტი, როგორ და რაში გამოიყენება, როგორ ინერგება, რა მომავალი აქვს მას ჩვენს რეალობაში და როგორ შეიძლება მისი სწორად მართვა, როგორ შეიძლება დაეხმაროს ის ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ტერმინი ხელოვნური ინტელექტი 1955 წელს ამერიკელმა მეცნიერმა, ჯონ მაკარტნიმ გამოიყენა. ეს არის პროგრამა ან კომპიუტერი, რომელსაც შეუძლია იაზროვნოს როგორც ადამიანი და მიიღოს ლოგიკური გადაწყვეტილებები. – ასეთია ჯონ მაკარტნისეული განმარტება. მას შემდეგ ხელოვნური ინტელექტი ინტენსიურად მონაწილეობს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მისი განვითარებისა და როლის ზრდასთან ერთად ფართო საზოგადოებაში ჩნდება სტერეოტიპებიც, რომლებიც მისი რეალური შესაძლებლობებისა და ფუნქციის გააზრებას უშლის ხელს.

ჩნდება კითხვები: სადამდე შეიძლება განვითარდეს ხელოვნური ინტელექტი, შეუძლია თუ არა მას ადამიანის გარეშე განვითარება ან ადამიანის ჩანაცვლება?

ხელოვნური ინტელექტი ტექნოლოგიური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომლის სწორ ინტეგრაციასა და გამოყენებასაც სამყაროსთვის ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია.

პროექტში სკოლის უკლებლივ ყველა მოსწავლე ჩაერთო, მისი მიმდინარეობისას მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაციები ინგლისურ და ქართულ ენებზე. ბავშვები სოციალურ სივრცეში კარგად იცნობენ არაბული სამყაროს ახალ რობოტ სარას, რომელსაც საუბარი და ცეკვა შეუძლია, ასევე ყველაზე განვითარებულ ჰუმანოიდ რობოტ სოფიას, რომელიც საქართველოს 2018 წელს ეწვია. მასზე მუშაობა ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო “ჰანსონ რობოტიკსმა” და 2016 წელს წარუდგინა საზოგადოებას. დღეს ჰუმანოიდი საუდის არაბეთის მოქალაქეა, უამრავ გავლენიან გამომცემლობას მისცა ინტერვიუ, შეხვდა მრავალ წამყვან პოლიტიკოსს. სოფია დღითიდღე იხვეწება ინტერვიუების დროს, ზოგჯერ მისი პასუხი შთაბეჭდავია, ზოგჯერ – აბსურდული. მაგრამ ეს მხოლოდ დროის საკითხია, მისი ინტელექტი ძალიან სწრაფად მიიწვეს წინ.

მთავარი საფრთხეები: ნებისმიერი სამეცნიერო მიღწევის დადებითად ან უარყოფითად გამოყენება შესაძლებელია, ასეა ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაშიც: ხელოვნური ინ-



ტელექტის ქმედების უკან ადამიანი დგას, რომელიც მის ალგორითმს ქმნის. ასე რომ, თუ ხელოვნური ინტელექტი რამეს არასწორად გააკეთებს, ეს არა უშუალოდ მისი, არამედ, იმ ადამიანის ბრალი იქნება, ვინც ის შექმნა. ბევრი ქვეყანა საკანონმდებლო დონეზე უკვე ფიქრობს ხელოვნური ინტელექტის დანერგვის სფეროების შეზღუდვაზე. რა თქმა უნდა, ოქროს შუალედი უნდა მოიძებნოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაში და ის ყოველთვის უნდა იყოს გამოყენებული კაცობრიობის განვითარებისთვის.

“სამტრედიის მაცნეს” პროექტის ხელმძღვანელმა, ხატია ძიგუამ განუცხადა: “როცა გავიგე “მაკდონალდსის” საქართველოში ინოვაციური მსერვისის შესახებ, რომელმაც მას კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოუტანა, წერილით მივმართე

ამ კომპანიას და ვაცნობე, რომ მსურდა ჩემი მოსწავლეები მიმეყვანა მათთან სტუმრად, რათა გავცნოთ მათი ახალი რობოტი – ქეთო. ჩემთვის ცნობილი იყო, მათი არაერთი საქველმოქმედო ღონისძიების შესახებ, ამან უფრო გამაბედინა მათთან წერილის მიწერა და თხოვნა, რომ დამხმარებოდა კომპანია “მაკდონალდსი” ჩემი პროექტის განხორციელებაში, სადაც სკოლის 8 მოსწავლე შეიძლება სტუმრობას და უშუალოდ გაიცნობდნენ რობოტ ქეთოს. კომპანიის წარმომადგენლებმა გამოიჩინეს უდიდესი გულისხმიერება, ისინი დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს, შევერჩია ჩვენთვის სასურველი დღე, როცა გაუმასპინძლებოდნენ ჩვენს მოსწავლეებს.

2023 წლის 31 მარტს ჩემს მოსწავლეებთან ერთად ვეწვიეთ “მაკდონალდს - ქუთაისს”,

პროექტის ფარგლებში მან ოფეთის ნომერ პირველი სკოლის მოსწავლეებს და მასწავლებლებს უმასპინძლა ბიგმაკ მენიუთი, გააცნო რობოტი ქეთო, ბავშვებს ხელეზზე გუაშით მოუხატეს მათთვის სასურველი ანიმაციური გმირები და სამახსოვროდ ბუშტები გადასცეს. ქეთოსთან სტუმრობა რესტორანში დაუვიწყარი და შთაბეჭდავი გახდა ჩვენი მოსწავლეებისთვის, “ქალაქსა თუ სოფელს “მაკდონალდსი” აერთიანებს” – ასეთი იყო ჩვენი მოსწავლეების მიერ მოფიქრებული სლოგანი დამშვიდობებისას.

სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის ნომერ პირველი საჯარო სკოლა მადლობას უხდის მასპინძლობისათვის და ჩვენი მოსწავლეების გახარებისათვის “მაკდონალდს – ქუთაისს”.

ენა დედაა ერისა

ლევან ბაბუჩავა

დედა ენის დღეს მიეძღვნა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში 12 აპრილს გამართული ღონისძიება, რომელიც ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის ხელმძღვანელმა, რუსუდან კახიანამ, გახსნა შესავალი სიტყვით.

ღონისძიება “სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელ მდივანს, ლევან გაბუნავას, მიჰყავდა.

ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველმა, სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიცია, ქართველ ბრძენკაცთა ბრძნული გამონათქვამები შეახსენეს შეკრებილთ და ის ლექსები წაიკითხეს საოცარი აღმაფრენით, ქართველმა პოეტებმა “დედა ენას” რომ უძღვნეს. ღონისძიება ანსამბლ “ათინათის” მიერ შესრულებულმა საგალობლებმა დაამშვენა.

“საოცრად კარგი საღამო იყო, ჩვენ ის ერი ვართ, დედა ენას ძეგლი რომ დაუდგა, ანალოგი არ არსებობს მსოფლიოში ამ ფაქტისა, მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს, მონაწილეებს, სასურველია ასეთი ღონისძიებები უფრო ვრცელდებოდეს გაიმართოს, გმადლობთ”. – ასე გამოხატა საკუთარი შთაბეჭდილება საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ ჯამბურამ.

მერიის კულტურის სამსახურის

უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ მადლობა მოახსენა ღონისძიების ორგანიზატორებს და ახალგაზრდებს მიმართა: თქვენა ხართ მშობლიური ენის მცველნი, თქვენმა თაობამ უნდა გაუფრთხილდეს, მოეფეროს ქართულ ენას. ამჯერადაც საინტერესო და ღრმა შინაარსიანი იყო ცნობილი სამტრედიელი გვიე ღაღანიძის გამოსვლა.

კიდევ ერთმა ცნობილმა სამტრედიელმა ბადრი ვაშაკიძემ, როგორც 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების უშუალო მონაწილემ, აპრილის ის დღეები გაიხსენა და მშობლიური ენის დაცვისაკენ მოუწოდა ახალგაზრდებს.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მშობლიურ ენას განსაკუთრებული დაცვა სჭირდება – ეს აზრი განავითარა თავის სიტყ-

ვაში ქუკიანა ფოფხაძემ. საკუთარი ლექსით მიმართა შეკრებილთ ნუნუ წილოსანმა.

ღონისძიების ყველაზე უმცროს მონაწილეებს საკუთარი ავტორობით გამოსული წიგნები უსახსოვრა ავტორგაფითურთ ღვაწლმოსილმა სამტრედიელმა გია ბოჭორიშვილმა და დარბაზს სიტყვით მიმართა. საოცრად შინაარსიანი ღონისძიების მომზადებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გამგე რუსუდან კახიანი და ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელი იზაბელა ლევაშვილი.

დაბოლოს, დიდხანს ღამაზ მოვრეზად გაჰყვებოდა საღამოს მონაწილეებს 12 აპრილს გამართული ამ აქტივობისას მიღებული შთაბეჭდილებები.



კონფერენცია “მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას”



ნინო ნანიტაშვილი

საქართველოს სახელმწიფო ენის მასწავლებელთა ასოციაცია 2023 წლის აპრილში სახელმწიფო ენის მასწავლებელთათვის მართავს კონფერენციას, სახელწოდებით: “მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას”.

კონფერენციის მიზანია: ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებს მისცეს შესაძლებლობა, გაუზიარონ კოლეგებს გამოცდილება, გაიაქტიურონ ცოდნა სწავლების უახლესი მიდგომების, სტრატეგიებისა და არსებული სასწავლო რესურსების მიმართულებით.

როვე მიდგომები პროექტზე, პრობლემაზე და კვლევაზე დაფუძნებული სწავლება; ინტეგრირებული სწავლება; ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში; მოსწავლეთა განმახივებელი შეფასება სწავლების პროცესში; ინკლუზიური გარემო საგნის სწავლებისას; საგნობრივი ცოდნის ტრანსფერი ცხოვრებაში; ინოვაციური მეთოდები; საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; მშობელთა და თემის ჩართულობა; კლასის მართვა; კომუნიკაცია და სხვა.

კონფერენციის მომხსენებელი შეიძლება იყოს საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე ქართული, როგორც მეორე ენის მოქმედი მასწავლებელი, რომელიც საგაკვეთილო პროცესში ნერვავს საუკეთესო პრაქტიკას და აქვს სურვილი, ეს პრაქტიკა კოლეგებს გაუზიაროს. კონფერენციაზე მომხსენებელი, შესაძლებელია, ასევე იყოს მასწავლებლის მომზადების აკრედიტირებული პროგრამის ლექტორი/სტუდენტი. კონფერენციის ძირითადი მიმართულებები: გამჭოლი პრიორიტეტული კონფერენციების განვითარება; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; მშობელთა და საზოგადოების (თემის) ჩართულობა; ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა; მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, კონფერენციის მომხსენებელად რეგისტრაცია.

კონფერენციაზე “მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას” მოხსენების/პრეზენტაციის მსურველად დარეგისტრირდა მე-11 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, მიაა ლორია.

სამი საუკეთესო მოხსენების ავტორს ასოციაციისგან გადაეცემა ფასიანი პრიზები: I ადგილი – წიგნის 150 ლარიანი ვაუჩერი; II ადგილი – წიგნის 100 ლარიანი ვაუჩერი; III ადგილი – წიგნის 50 ლარიანი ვაუჩერი; სულაქაურის გამომცემლობა თავის რჩეულს გადასცემს წიგნის 100 ლარიანი ვაუჩერს; ყველა მომხსენებელს გადაეცემა სერტიფიკატი.

როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს მასშტაბით 25 მასწავლებელმა წარმოადგინა თავისი მოხსენება, მათგან 3 შეარჩიეს; პირველი ადგილი დაიმსახურა მიაა ლორიას ნაშრომმა თემაზე: “კომპლექსური დავალება, როგორც რესურსი სიტყვისთვის ახალი სივრცის შესაქმნელად”. “განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მოსწავლეების ნამუშევრებმა: დაწვებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შესრულებულმა კომპლექსური დავალების ნიმუშებმა, ექსპერიმენტული ის გახლდათ, რომ მოსწავლეებმა შექმნეს ილუსტრირებული ლექსიკონი, რომელსაც დაურთეს “ემოციური კომენტარი”, რომელიც სიტყვისთვის ახალი სივრცის შექმნას გულისხმობდა, სიტყვა უბრალოდ კი არ განმარტეს, მას ახალი სივრცეები მიანიჭეს, ეს თეტიკური და ემოციური ფუნქცია მისცეს, რაც ახალი ტექსტების შესწავლისას მუდმივად ივსებოდა ნორჩი ლექსიკოლოგების მიერ, რაც თავისთავად მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსი აღმოჩნდა”. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში განაცხადა კონკურსში გამარჯვებულმა, პირველი ადგილის მფლობელმა, მიაა ლორიამ.

დაუცხრომელი ქობაგი

ნიკო ნიკოლაძე – ქართველ სამოციანელთა გამომჩენილი წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და გიორგი წერეთლის ღირსეული და სახელოვანი თანამებრძოლი. ის დიდად განათლებული მოაზროვნე და ეპოქის მოწინავე იდეების დაუცხრომელი ქობაგი იყო.

ფრიად საინტერესოა მისი დაკვირვებანი, გამონათქვამები, წერილები და შენიშვნები ძველი ქართული მწერლობის საკითხებზეც.

ძველი ქართული მწერლობიდან ნიკო ნიკოლაძე კარგად იცნობდა რუსთაველსა და მის უკვდავ პოემას.

“ვეფხისტყაოსნის” ავტორს იგი თვლიდა უდიდეს შემოქმედად. ქართული სიტყვის შეუდარებელ ოსტატად, ქართველი ხალხის იდეურ მეთვალყურედ.

ნიკო ნიკოლაძის დაკვირვებით რუსთაველი მშობელი ხალხის ბრძენი მასწავლებელი იყო. ის მკითხველებს უნერგავდა ღრმაადამიანურ გრძნობებს და ესთეტიკურ გემოვნებას.

ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ წერილში ნიკო ნიკოლაძე საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ “გლახის ნაამბობის” მთავარი გმირი გაბრიელი კეთილშობილი და ზნესრული გლეხია, წინდახედული, გულწრფელი, აზრგამართული და გრძნობადახვეწილი. სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება გაღამახებული და შეფერადებული ჩანდეს, მაგრამ ილია ჭავჭავაძემ თავისი გმირი “ვეფხისტყაოსანზე” აღზარდა და არაფერია საო-

ცარი იმაში, რომ გლეხს არა მხოლოდ ჭეშმარიტებისადმი უდიდესი ერთგულება ახასიათებს.

ილია ჭავჭავაძე ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, თავის “გლახას” სიყრმიდანვე ერთ კეთილმოქმედ მღვდელს შეყრის, რომელიც იმას წერა-კითხვას ასწავლის, პატიოსნების ძაღას აგრძნობინებს, “ვეფხისტყაოსანს” აკითხებს, აყვარებს და აგებინებს.

ნიკო ნიკოლაძე ახალგაზრდობას მოუწოდებდა, აიღეთ “ვეფხისტყაოსანი”, აიღეთ მთელი მაშინდელი მწერლობა, ის გასწავლით არა მარტო ვაჟკაცურ პირდაპირობასა და სიმართლის მსახურებას, არამედ მარადიული სიყვარულის იდეას. ის აღფრთოვანებული იყო სიყვარულის რუსთაველისეული გაშუქებით, თუ რა პოეტური სხივით მისდევდა ის გრძნობებს, თავგანწირულობას, სულის სიმადლეს და სიყვარული ეშხს. ვერ ეგუებოდა მისი დროის მწერლობაში სიყვარულის გაუბრალოებასა და გაუფასურებას.

პოემაზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ნიკო ნიკოლაძემ და გიგო გაბაშვილმა 1883-84 წლებში მოახერხეს პეტერბურგში სხვადასხვა საქმეებზე და ამავე დროს “ვეფხისტყაოსნის” დასურათების საქმეზე ჩამოსული ილია ჭავჭავაძე შეეხვედრებინათ მიხაი ზინთან, რომელიც გიგო გაბაშვილის მასწავლებელი იყო. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. შეხვედრა მოხდა ოლიკოს სალონში, სადაც იმხანად დავით გურამიშ-


ვილიც იმყოფებოდა.

ილიას დაწვრილებით გაუცვნია ზინისთვის შოთას გმირები და ქართველი ხალხის განსაკუთრებული ბუნება, წარსული და დღევანდელი ცხოვრებაც. საუბრის დროს ილია უცებ მობრუნებულა იქ მყოფ პოეტ დავით გურამიშვილისკენ, აი ერთ-ერთი გმირის ჩვენამდე მოღწეული ცოცხალი განსახიერება, აი შეხედეთ, ბატონებო ამ ახალგაზრდას. იცით რისი შემძლეა ეს ემაწვიდი რა ძაღას აძლევს თავისი მშობლიური ცისქვეშ ყოფნა.

ზინის დასაინტერესებლად ილიას დავითის სახე ასე გამოუძერწავს: ‘იგი ნამდვილი ოსტატია ცურვაში, ცხენოსნობაში და ცეკვაში. ზინი ისე დაინტერესებულა, რომ ილიასთვის უთქვამს, ეს რა კარგი მასალა მომეცითო. თუ ვიკისრე თქვენი შესანიშნავი პოემის დასურათება უკვე აქედანვე ვხედავ ტარიელსო.

მეგობრებო, შედეგი სახეზე გვაქვს, აი, ჩვენს მუზეუმში დაცული 1884 წელს გამოცემული ზინის მიერ დასურათებული “ვეფხისტყაოსანი”. ამ წიგნით საზრდოობდნენ ნიკოლაძეთა ოჯახის წევრები და მათი სამაგიდო წიგნი იყო. ამ წიგნზე აღიზარდნენ ნიკო ნიკოლაძის შვილები. ნიკო ნიკოლაძის ერთადერთი ვაჟი გიორგი ნიკოლაძე 4 წლის იყო, როცა მთელი “ვეფხისტყაოსანი” ზეპირად იცოდა.

არ იქნება გადაჭარბებულად ნათქვამი, რომ გიორგი ნიკოლაძე მართლაც “ვეფხ-



ისტყაოსანზე” აღზრდილი იყო. ამას მთელი მისი მოკლე მაგრამ დიდებული ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა გვიჩვენებს. და ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ნიკო ნიკოლაძეც “ვეფხისტყაოსანზე” აღზრდილი. მისი დედა ხომ შესანიშნავი მწიგნობარი იყო, “ვეფხისტყაოსანიც” ზეპირად სცოდნია. ის მუდამდღე უკითხავდა თავის შვილებს “ვეფხისტყაოსანსა” და იმ დროს არ-

სებულ ხელნაწერ ქართულ წიგნებს.

ნიკოლაძესაკვიტ მისი შვილებიც სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით იყვნენ გაუღნითილნი და მთელი შეგნებული ცხოვრება ერის სამსახურში იღვანენ.

დედა, ოღვა გურამიშვილიც ხომ ამ დევიზით ზრდიდა შვილებს: გუშაგობ ერს! მარად! – იყო პასუხი.

გულიკო ზარბაზნია

ნიგორზღვისა და მეთორმეტე საჯარო სკოლების პედაგოგებმა და მოსწავლეებმა სკოლათაშორისი პროექტი განახორციელეს



ნათია ნაცვლიშვილი

“ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით” – ამ სახელწოდების სკოლათაშორისი სოციალური პროექტი განახორციელეს ნიგორზღვის საჯარო და მეთორმეტე საჯარო სკოლების პედაგოგებმა და მოსწავლეებმა. როგორც ნიგორზღვის საჯარო სკოლის გეოგრაფიის პედაგოგმა ირინე ხაბეიშვილმა და მეთორმეტე საჯარო სკოლის გეოგრაფიის პედაგოგმა, როზა ბაღდავაძემ “სამტრედიის მაცნეს” განუცხადეს, პროექტი გაგრძელდება და ბევრ საინტერესო აქტივობას მოიცავს. პედაგოგებმა და მოსწავლეებმა პროექტის ფარგლებში არაერთი საინტერესო აქტივობა განახორციელეს. მოსწავლეებმა შეიტყვეს, რომ განვითარების ახალი დღის წესრიგი მოიცავს 17 გლობალურ მიზანს, რომლებმაც უნდა განსაზღვროს მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტები 15 წლის მანძილზე.

გაეროს 193 სახელმწიფოსთან ერთად 2030 წლისთვის შესასრულებელი ჩვიდმეტი მიზნიდან პირველი მიზანია: არა სიღარიბეს! ეს ნიშნავს სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრას. საქართველოსა და მსოფლიოს მიზანია, ადარ იყოს სიღარიბე, არც ერთი ფორმით, შემუშავდეს ეფექტიანი სოციალური დაცვის პროგრამები, ყველას თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი საბაზისო სერვისებს. ამ მიზნების შესრულებით გაერო თვლის, რომ შექმნის უკეთეს მსოფლიოს, სადაც ყველას ექნება თანაბარი შესაძლებლობები, რათა ყველამ უკეთეს სამყაროში ვიცხოვროს.

პედაგოგების ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა მოამზადეს საინტერესო პრეზენტაციები, პედაგოგებმა მათ აჩვენეს ფილმები, სადაც სიღარიბე და ბავშვების მიმე შრომა ასახული. მოსწავლეებზე დიდი ემოციური ზეგავლენა იქონია ფილმმა “კაიაიო”. ფილმის მთავარი გმირი, 8 წლის გოგონა მძიმე შრომას ეწევა, რათა ოჯახი გამოკვებოს.

პროექტის მონაწილეებმა შეაგროვეს საკვები პროდუქტები და სოფელ ჭოგნარში მცხოვრებ ბოლქვაძეების ოჯახს მიუტანეს. ოჯახში ოთხი ბავშვია, მოსწავლეებმა მათ სახატავი რეკულები და ფანქრებიც მიუტანეს. ოჯახის უფროსებმა მადლობა გადაუხადეს სტუმრებს გულბილი და გულუხვი სტუმრობისათვის.

საინტერესო დღის ფინალური აკორდი გამოჩინებულია ზანდოს მამათა მონასტერში სტუმრობა იყო. პროექტის მონაწილეებმა მონასტრის მყუდრო სივრცეში სანთლები დაანთეს.



“დედა ენის” დღე ნიგორზღვის საჯარო სკოლაში

ნიგორზღვის საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებმა, შიო და ნიკა გაგუებმა და ელენე ნადირაძემ სასწავლო წლის დასაწყისიდანვე დაიწყეს ბარბაროზებისა და დიალექტური ფორმების ერთ რეკულებში თავმოყრა.

ქართული ენის დღესთან, 14 აპრილთან დაკავშირებით კი, წარადგინეს ნაშრომი პედაგოგის, ნათია ნაცვლიშვილის წინაშე. განმარტეს ბარბაროზების და დიალექტიზმების მნიშვნელობა, თავადვე განახსვავეს ერთმანეთისგან დიალექტები (ჩვენს შემთხვევაში, იმერიზმები) და ბარბაროზები.

მოსწავლეებმა პირობა დადეს, რომ ეს აქტივობა ტრადიციად დამკვიდრდება, თავიანთ მეგობრებს ენობრივი ნორმების დარღვევაზე მიუთითებენ და სწორ ფორმასაც განუმარტავენ. ნიგორზღვის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან წარმატებით მუშაობს ხელმძღვანელი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ნათია ნაცვლიშვილი.

ნინო ნანიტაშვილი



ქართული ენის პროექტ-კონკურსი მე-11 საჯარო სკოლაში

მეთორმეტე საჯარო სკოლაში წარმატებით დასრულდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი პროექტ-კონკურსი. მონაწილეებმა, საბაზო და საშუალო საფეხურზე, თავად რეკაზ ინანიშვილის უკვდავი ხმის ჩანაწერი მოისმინეს – შეუდარებელი “ფიროსმანი”.

მოთხრობის ანოტაცია შეფასდება და საბოლოოდ გამოვლინდება გამარჯვებული საფეხურების შესაბამისად. დაჯილდოების დღე ცნობილი გახდება თითოეული მონაწილისთვის.

ცალკე უნდა აღინიშნოს II და IV კლასების კონკურსი კალიგრაფიაში, როგორც ამ კონკურსის ერთ-ერთი აქტივობა, რომელიც ინიცირებული იყო მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ.

მადლობა მინდა, გადაუხადო ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას, მის თანამშრომლობისა და პროფესიული პასუხისმგებლობისთვის: მარიამ ფრანგიშვილს, თამილა გაბუდავას, ქეთევან კოკაიას, ნინო მურდულაიას, ნარიკო ქავთარიას, თამილა კახიანს, ლიკა გოგიას, ქეთევან კახაძეს. განსაკუთრებული მადლობა სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნანა მანჯგალაძეს ასეთი მასშტაბური პროექტის ხელშეწყობისთვის”. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში განაცხადა მეთორმეტე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, მიაა ლორიაძე.

ნინო ნანიტაშვილი



ერმილოვ თოფურია

სულ მეზმანება ის ძველი ეზო და შუბლზე მთვარე დედის ხალივით,

გადათოვლილი ოდა და იქვე ბაბუ დამდგარი ჩინილაკივით. როცა შევადებ ამ ჭიშკრის კარებს, ამ ხესაც ბებოს სული ედება, და მარტო ოდა ბებოს მაგივრად გამორბის ჩვენსკენ შესაგებებლად... აქვეა ეზოს ძველი ვენახიც, ხეზე აკრული რკინის ხუნდებით და მეჩვენება, თითქოს ბაბუებს ზედ მირჩენიათ თავის გულები. სულ მეზმანება ის ძველი ეზო და შუბლზე მთვარე დედის ხალივით,

გადათოვლილი ოდა და იქვე ბაბუ მდგომარე ჩინილაკივით...

აღბათ, ატმის ხემ თუ გნახა სადმე, ამის მოყოლა ერთხელაც რად დირს, წუხელის კვირტებს დასიზმრებისარ და ყვავილებად უყვება აპრილს...

დღის ასახდენი მარტის სიზმრები ამოქარგა აპრილს ხალამზე, ატმის ტოტს ჩუმად ამოუდეს და დამიმენეს ლექსის კვირტი კალამზე...

მოვიგონებ ბებოს ზოგჯერ, როცა ვფიქრობ, იქნებ შორს წასულა განა? ანაც ჩუმად გაზაფხულზე იქნებ ციცქნა ტოტად დაემატა ატამს. თუ გაცდები სულაც ერთი წუთით, ყურს დაუგდებ მეტყველებას ხისას, დარწმუნდები, შორს კი არა, ბებო თურმე აქვე საქართველოდ იქცა...

მე როცა წავალ, ისევ პატარა ლურჯთვალა იად ჩუმად ამოვალ დედის საფლავზე...

გაზაფხული – ფეხმძიმე კვირტის მშობიარობა...

ერთი კაცი სიკვდილის წინ ითხოვდა ასე, ჯოჯოხეთის ცეცხლში რომ ვიწვე, ციცქნა ნაწილით ამ გუენისა შვილის ჩამქრალი კერა ამინთეო...

ირგვლივ კერას რომ შემოვუსხდებოდი, ახლა მე დავრჩი მარტო, თითქოსდა, კერასაც ააცახცახა, რომ მხოლოდ მე მარტო მათობს... ირგვლივ რომ ყველა შემოეცალა ჩვენს შორის მოელვარე ფერიას, ჩვენ რომ გვეგონა, თითქოს ჩვენ ვთბებოდით, თურმე ჩვენ იქით ვათბობდით კერიას... ჩვენ კი გვეგონა, კერა ჩვენ გვათბობდა

და ისიც ზეიმობდა მუგუზლით. ახლა ჩემსკენ თბება, ირგვლივ არვინ უხის

და ცეცხლსაც უცივდება ზურგი... ახლა ხელს ვუსვამ და თავზე ვეფერები,

მე მისი იმედი მაქვს დიდი. თითქოს ჩურჩულის ხმაც გავიგონე, დიდხანს მიცოცხლო იგი.

ტკაცუნით ჩურჩულებდა, ეს რა გავიგონე,

მოელვარე ხელაპყრობით ცაზე, ეს მაინც შემარჩინე, ცეცხლი ლოცულობდა

დედამისის მოჩიფნიფე ხმაზე. ირგვლივ კერას რომ შემოვუსხდებოდი,

ახლა მე დავრჩი მარტო, თითქოსდა, კერასაც ააცახცახა, რომ მხოლოდ მე მარტო მათობს...

აპრილი
კახამბლის კვირტმა ტოტი მიაღვა ღრუბელს, ჩვილი ბაღლივით ცას აეპარა და მზის მურაბას თითებით მისწვდა, დაუსხლტა უცებ, გადმოვარდა და გაზაფხული გადმოელვარა...

სასაფლაო გამიწმინდა შენს ლამაზმა ხელებმაო, ჩიტებმა ენა მანუქეს, თვალი ანგელოზებმაო. მსურს მოვფრინდე შენს ეზოში, ხეზე მოვრთო გალობაო და ჭიკჭიკით შემოგძახო, შვილო, დიდი მადლობაო...

ზარმაცო
ზარმაც შვილს მოშივდა და ხელის განძრევაც ეზარებოდა. დაიხივლა: ე, მამი, სადა ხარ, რატომ მომიკვდი, მუშაობდი და მშივრები არ ვიყავითო. უცებ მიწიდან ხმამ მიუგო: აიღე ბარი, დაჰკარი, ამოვალ და გიშველიო. შვილი ძლივს წამოღვა ტახტიდან, ბარს მოჰკიდა ხელი, ეზოს მიწას დაჰკრა, მაგრამ... სადა ხარ, მამი? – იძახდა გამწარებული. აქა ვარ, შვილო, აი, აქ დამკარი, შვილი დაჰკრავდა და... კიდევ ასე, მთელი ეზო დააბარინა. მერე დალილს ჩაესმა: – ახლა აიღე სიმინდი, ჩაყარე დაბარულში და ამ სიმინდის ნერგს ამოვეყვებიო. ჩაყარა მართლაც ზანტმა ძლივსძლივობით ნაბარში მარცვლები, რგული გაიზარდა, მაგრამ მამა ამოყოლილი ვეღარ იპოვა მაინც შვილმა. – სადა ხარ, მამი? აი, ჩაყარე სიმინდის თესლი, შენ კი რამდენი ხანია გიცდი, მაგრამ... ახლა ნერგმა მიუგო: გამოთონე, მერე დაფქვი სიმინდი, მოსავალი მოიწიე და ტომრიდან მე ამოვალ. ასეც მოიქცა შვილი. მერე თევზზე დააღვა საჭმელი. ახლა კი საკვებმა უთხრა: – აი, შვილო, აქა ვარ, დიახ, მე ყოველთვის შენთან ვიყავი, შენ კი ვერ შეამჩნიე, ახლა კი შეჭამე და ტკბილად შეგერგოსო.

ახალი საბავშვო ლექსები

ციცინათელა
მზე ნელ-ნელა იპარება, დაღამდება მალე, ციცქნა ციციანათელები გაახელენ თვალებს. რაში გვინდა ელექტრონი ან ნამგალა მთვარე, ციციანათელების შუქი გაგვინათებს მთა-ველს.

ტყუილი
კომში, ბია და ვაშლი, რუ ჩამოდის ჭალაში, ვეჯიბრებით ერთმანეთს ყველა ხილის ჭამაში. ვოთომდა, წუხს ბაბუაც, რაა გასაკვირვები, ძლივს-ძლივს ამოსულები გაგცვივათო კბილები! უნდათ ფაფა რომ ვჭამოთ, თუმც არ ესმით სრულებით, ბადის ასაკს კაი ხნის რომ ვართ გადასულები.

ელიაო, მელიაო... საქმე შემომელიაო, ლელიანში მიიმდერის კუდბუთქუნა მელიაო... ნერწვი მოსდის მეტის ნდომით, ტუნს ილოკავს მელიაო, თინა ბებოს ვარიები მოუთმენლად მელიანო. მაგრამ ბებოს მურაცა ჰყავს, ელია და მელიაო, მართლა ხელი არ წავიცდეს, შე საწყალო მელიაო!

ნაცარა ვარობა
ბაბუ ბარავს საბოსტნეს, წვიმამ თუკი აცალა, ბებომ გვერდით ძველ ღობეს, ფიხი შემოაცალა. სად იყო და სად არა, იქვე განდა ნაცარა, ყელტიტველა ვარიკა, კუდრაჭა და ცანცარა. დაერია ჭიებს და სინსილა გააცალა, რა გამოძლა, დანაყრდა, კუჭიც იქვე დაცალა. თუმც ამ ორომტრიალში, ბასრი ბარით ნაცარას, ბაბუმ ორჯერ კინადამ კისერი წააცალა. ჩვენი ბოლო სურათით კი, სადაც ჭიაფერებია ჩანს ვარიკა, ძლივს რომ მითრევს ჩინახვს ჭიაყელებიანს.

დაბადების დღე
დაბადების დღე აქვთ ტყუებებს, შეუსრულდათ წელი ათი, დღეობა აქვთ, გინდათ ვითხრათ? აი, მათი მისამართი: – ვარკეთილის მეტროდან რომ ზუსტად ასათ ნაბიჯს დათვლით,

თუმც რომელი რომელია, მეც გარჩევა მიჭირს მათი. იქვე არის, დაიხსომეთ, მზეც ბრდღვიანებს ხათრი-მათრით, ვიტრინაა გამჭვირვალე, ვიტრინაში თეთრი დათვი. რო ჩაუხვევ, აღმართია, ბევრი არა, ასე ათი ნაბიჯი და გამოსნდება ყვავილნარში სახლი მათი... დიდებული სუფრა კი აქვთ, ტორტი-მორტი ღვინო მათი, ფერადი და გამჭვირვალე გაზიანი ლიმონათი.

ბიო, მელაღურაბი და სხვანო
ერთ ტოტზე რომ მიირთმევენ, თეთრ ლედეს მეღაღურები, მეორეზე მე ვზივარ, სხვაც ბევრი მყავს სტუმრები. მაშკა ღორი ღრუტუნით, საწყლად რომ ამომხედავს, არად აგდებს ხანდახან, თუკი თავშიც მოხვედბა. მასთან ჩვენს ჭრელ ჯეკასაც გაუმართავს წილობა, ერთურთს პირში აგლეჯენ, სულ არა აქვთ ზრდილობა. თინიკოსაც კალთაში დაუგროვდა ეტყობა, იმდენი, რომ მას კი არა ბებიასაც ეყოფა. შევისვენოთ ახლა და, მზე ცოტას რომ გადავა, აქ თუ შემოგვეღვევა, ჩიტლეღვაზე გადავალ.

სამშობლოს დამცველი
სად იპოვა, ვინ იცის, ისმის რომას როხროხი, თავზე ხურავს ბაბუის კარაკულის ბოხოხი. წელზე ხმალი, საცოდავს, ძლივს რომ გაუწოკნია, მხარზე კაჟიანი თოფით მოჯდომია ჩოკინას. ყვირის! – ომში მივალო!.. რას დაგდებები აბა შინ?! საგზალიც აქვს, მოუჩანს ჩურჩხელები აბგაში. მტერი შემოგვესიაო, ხალხო! შეიყარენით. გვიხმობს თავდადებისკენო, სამშობლო საყვარელი.

მამლის ფიცი მურიასაღმი
როგორ გააცუცურაკე ეგ ეშმაკი მეღაო? შენს მოხერხებაზე ვართ ჩვენ მიბმული ყველაო. ამიტომაც გპირდები, რომ არ იყოს წყენაო, დილას გამცნობთ, სხვა დროს კი გავიჩუმებ ენასო.

ილია ლეკვიშვილი

მიორაბ ღრაშა მილანოვიჩი

ბოძებები

მეზობლის დაკრძალვის დღეს სამგლოვიარო პროცესიის მონაწილე ათეულობით ადამიანი კინაღამ საავიაციო დაბომბვის მსხვერპლი გახდით. ეს მოხდა ქალაქ ჩუპრიაში. იდგა სერბიისათვის ავადმოსაგონარი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი წელი. სწორედ იმ წელს NATO-ს წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ გარკვეული (?) პოლიტიკური საბაზის გამოყენებით დაესაჯათ სერბეთი და დაემტკიცებინათ თავიანთი ძალა.

სასაფლაოზე, ჩვენს თავებს ზემოთ თვითმფრინავმა ბგერის სიჩქარის ბარიერი გადალახა და რამდენიმე წამში ბომბების აფეთქების ხმაც გაისმა. ამ ბარბაროსულმა საქციელმა ხალხი შეძრა, თუმცა ამან მათი გაშმაგება უფრო გამოიწვია, ვიდრე შეშინება. ვიღაც ქალმა განწირულის ხმით შესძახა ზეცას:

– ღმერთო, ხედავ რას გვიშვებინან! გაგვაგებინე, უფალო შენ არსებობ?!
მღვდელმა წესის აგების პროცედურა შეაჩერა, თავი ასწია და მხერაცას მიაპყრო:

– ღმერთი არსებობს, – წარმოთქვა მან ხმამაღლა და განაგრძო – ის ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის და განსჯის!

– შეიძლება განსჯის კიდევ, მაგრამ როდის და ვის? – ვკითხე მე, თუმცა პასუხი ვერ მივიღე, რადგან კვლავ გაისმა აფეთქების ხმა უკვე სხვა ადგილიდან... შემდეგ კიდევ... კიდევ... ყოველ ჯერზე სხვადასხვა მხრიდან. ქალაქი ზანზარებდა. ზანზარებდა მთელი სერბეთი. სამოცდაათი დღის განმავლობაში ყოველდღიურად იბომბებოდა დედაქალაქი ბელგრადი, სხვა დიდი ქალაქები და დასახლებული პუნქტები, სამხედრო ბაზები, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის ობიექტები, ისტორიული ძეგლები, ქვეყნის ინფრასტრუქტურა. კოსოვოსთვის ბრძოლამ და სამოცდაათდღიანმა დაბომბვებმა, გარდა იმისა, რომ წარმოუდგენლად დიდი მატერიალური, მორალური და პოლიტიკური ზარალი მიაყენა ქვეყანას, სამწუხაროდ, სერბეთის 12 000 მოქალაქის სიცოცხლეც შეიწირა სამხედრო მოსამსახურეების და მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის ბავშვების სახით.

მას შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ეს ჯოჯოხეთი სერბეთში არავის დავიწყებია და არც არასდროს დაავიწყდება. ხოლო თქვენ კი, ბატონებო, რომლებიც ამისკენ მოუწოდებდით, აქეზებდით და სამიზნეებს ურჩევდით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ზეციური უხილავი ისრებით თქვენც მალე განიგებებით. სამწუხაროა, რომ თქვენი ცოდვებისათვის მომავალი თაობებიც აგებენ პასუხს.

– და ახლა რა იქნება? – მეკითხება ამხანაგი დიდი ხნის შემდეგ, – საით წავალთ, სად ვიქნებით, ვისთან არ როდემდე? საერთოდ რა მოხდება, როგორ გესახება ყოველივე? ხომ ვხედავთ, რომ კოსოვოს ოლქის ადგილზე შექმნეს შიპტარების ახალი სახელმწიფო, რომელიც მთლიანად ბომბებსა და ნადმებზე დევს. თითქოს საერთო ინტერესების მქონე მეგობრებიც ჰყავთ, თუმცა ეს ყველაფერი მირაჟია და ვერასოდეს დაიხსნიან თავს პარტნიორთა შორის უძლიერესის გავლენისაგან, გაიქცევიან შიპტარები კოსოვოდან.

– მართალი ხარ! ვიცი, რომ მათ თავზე იქნება ბომბების წვიმა. ამბობენ, ყველა მტაცებელი, ლეშიჭამია ფრინველი კოსოვოში აპირებს თავმოყრასო. ერთხანს ჩუმად ვიყავით. მერე ისევ ამხანაგმა მითხრა:

– აი, ახლა ჩვენ აქ ვსაუბრობთ, მე და შენ, სერიოზულ საკითხებს ვეხებით, მაგრამ სად არიან ამ დროს ჩვენი შვილები?! თითქმის ყველანი იმ ქვეყნებშია, რომლებიც გვბომბავდნენ, იქ მუშაობენ და ცხოვრების სარჩოს პოულობენ... ამბობენ, რომ ჩვენც უმეტესწილად გვინდა იმ გაერთიანებაში ყოფნა, მაგრამ ეტყობა მათ არა აქვთ ამის სურვილი. თითქოს არც ნანობენ ჩადენილს, თითქოს ჯერ კიდევ არ განუხორციელებიათ ჩვენთან დაკავშირებული თავიანთი ოცნებები. ჩვენ კი დავრბივართ მათთან, ვთხოვთ, ვვაჯუბით და დედკოს ვეძახით! მაგრამ რა გამოდის? თითქოს მეცამეტე გოჭი ვიყოთ და ჩვენთვის ძუძუ არ ჰქონდეთ!

– მაგაში ვერ დაგეთანხმებით! ძუძუ აქვთ, მაგრამ ჩვენ დრო გავუშვით ხელიდან – მოწოვა დაგვაგვიანეთ! ისე, გუშინწინ მეგობარმა დამირეკა ბელგრადიდან და მითხრა, რომ “ეს ბოლო დროა სერბეთის ხელისუფლება ვერ აუდის ჩვენი დამბომბველი წევრი ქვეყნების ბოლიშეხსო”. რას იტყვი, შენი აზრით ეს შესაძლებელია?

– შესაძლებელია, – სარკასტული ღიმილით მიპასუხა ამხანაგმა, ალბათ, ზუსტი ინფორმაცია აქვთ სამყაროს აღსასრულის შესახებ... სამწუხაროა!!!

სამრბულიდან თარგმნა თემურ პირველმა

ხსოვნა

ფოტო რ. გეძიასი...



8 მაისს 85 წლისა გახდებოდა ჩვენი უფროსი კოლეგა და უღალატო მეგობარი, გახეთების “წინსვლა”, შემდეგ “სამტრედიის მაცნე” ფოტოკორესპონდენტი, სამტრედიის საპატიო მოქალაქე რომან ბეჭია. დიდია მისი პირადი წვლილი ლამის საუკუნოვან სამტრედიაში გამოძახალი გახეთის წარმატებებში.

უცხო იყო მისთვის მეორეხარისხოვანი და პირველხარისხოვანი საქმე. დარსა თუ ავღარში, ჭირსა თუ ღვინში თანამშრომელთა გვერდით იდგა და მათთან ერთად იზიარებდა ტკივილსა და სიხარულს. ბრწინვალე ოჯახის თავკაცისათვის, დიხადაც რომ, მეორე ოჯახი იყო რედაქცია. საჭიროება მოითხოვდა? რომანი ალიონიდან რედაქციაში იყო, გვიან დამემდეგ ხშირად ანათებდა ნათურა მის ოთახში. პროფესიონალიზმით, საქმისადმი ერთგულებით, ღალი იუმორითა და კაცთმოყვარეობით დაგვაამახსოვრა თავი მის შემდგომ თაობებს.

რა სიხარული იყო 10 წლის წინ, 75 წლის იუბილე რომ აღუნიშნეს ხელოვანთა დარბაზში, სრულიად დამსახურებულად მიენიჭა სამტრედიის საპატიო მოქალაქის წოდება.

რა მშვენიერად თქვა რომანის პიროვნების რა შესანუიშნავი შეფასება ბატონი კორნელი ჩიხლაძის ლექსის სიტყვები 70 წლის რომან ბეჭიას რომ მიუძღვნა.

“შენ სამტრედიის ისტორიას ფოტოთი წერდი, გვერდს ვერ აგივლის სამტრედიის მემატინაე!”

მშვიდად განისვენე, ჩვენო დაუვიწყარო უფროსო მეგობარო!
ლევან ბაბუნაშვილი

მზია ბრიგოლია

გარდაიცვალა ღირსეული სამტრედიელი, დოცენტი
მზია კეტიშვილი ასული ბრიგოლია-პილუშაძე.

ქალბატონმა მზიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წარმატებით დაასრულა ასპირანტურის კურსი (აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის ხელმძღვანელობით. წლების მანძილზე მუშაობდა ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტსა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გამოქვეყნებული აქვს (მათ შორის საზღვარგარეთ) 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მან და მისმა ღირსეულმა მეუღლემ აკადემიკოსმა ივანე (ვანო) კილურაძემ წონადი წვლილი შეიტანეს ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეში. საოცარი სისადავით, უბრალოებით, ტრადიციისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა ქალბატონი მზია.

ამ დღეებში ქართულმა მიწამ მიიბარა გრიგოლიათა გვარის კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი.

ნათელში მისი სული.
ლევან ბაბუნაშვილი

ძმისშვილები ირაკლი და ლევა გრიგოლიები ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა მამიდა

მზია კეტიშვილი ასული ბრიგოლია-პილუშაძე

“სამტრედიის მაცნე” რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონი მზია ბრიგოლიას გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.

ნატო მელია და თემურ მიქაე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მამიდა
თინა ლუკას ასული მელია-ბაბუა
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი “სამტრედიის მაცნე” თანაუგრძნობს ბატონ ავთანდილ კაშიას მეუღლის

გულისა ღმისაძის

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი თანაუგრძნობს ბატონ ავთანდილ კაშიას მეუღლის

გულისა ღმისაძის

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის №1 საშუალო სკოლის 1990 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან კლასის დამრიგებლის

გულისა ღმისაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სამტრედიის სპორტსკოლის გუნდი იმერეთის რეგიონატის ლიღარია

7 აპრილს დაიწყო და, სავარაუდოდ, სექტემბერში დასრულდება 2009 წელში დაბადებულ ვაჟთა შორის რეგიონალური კვალიფიკაციის თასზე "იმერეთი-2023-ის" ღია ჩემპიონატი ფეხბურთში, სადაც ასევე მონაწილეობას ღებულობს სპორტული სკოლა "სამტრედიის" გუნდი.

20 მარტს მეორე თამაში შედგა, სადაც "სამტრედიამ" "ხონის" გუნდი ანგარიშით 5:0 დაამარცხა.

გამარჯვებით დაიწვეს პირველივე შეხვედრა სამტრედიელმა ნორჩმა ფეხბურთელებმა. მათ ბაღდათის გუნდი დიდი ანგარიშით, 2:8 დაამარცხეს. მწვრთნელები: ვლადიმერ ქანთარია, ნიკოლოზ ჭიჭაშუა; დამხმარე მწვრთნელები: ალექსანდრე ხუჭუა, აკაკი კუპრეიშვილი.

პირველი თამაში: ბაღდათი "საირმე" 2:8 სპორტული სკოლა "სამტრედია". გოლები: გიორგი ჯიმშელეიშვილი 2, გაბრიელ თაკვარელია 2, ლუკა სპირანტი 1, მათე ლიღუაშვილი 1, ლუკა კოხრეიძე 1, ბექა უღრელიძე 1.

მეორე თამაში: სპორტული სკოლა "სამტრედია" 5:0 იმერეთის "ხონი". გოლები: მათე ლიღუაშვილი 2, გაბრიელ თაკვარელია 2, ლუკა სპირანტი 1, ასისტები: გიორგი ჯიმშელეიშვილი 2, რატი ცომაია 1, მათე ლიღუაშვილი 1, ბექა უღრელიძე 1.

მორიგ შეხვედრას სამტრედიის სპორტული სკოლის გუნდი სამშაბათს, ქუთაისის "მართვესთან" გამართავს.

6060 ნანოტაშვილი



ამ ღიაზე სამტრედიის საკალათბურთო მოედანი საზეიმოდ გაიხსნა

გალაკტიონის ქუჩაზე ახალი საკალათბურთო მოედანი საზეიმოდ გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკალათბურთო მოედანი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით გაკეთდა. წარმოშობით სამტრედიელებმა: იმედა ნიკურაძემ და სერგო რუხაძემ გახსნასთან დაკავშირებით სამტრედიელ ნორჩ კალათბურთელებს და ფეხბურთელებს ბურთები და სპორტული ინვენტარი გადასცეს. "წარმატებებს ვუსურვებ მომავალ სპორტსმენებს. ჩვენთვის პრიორიტეტია, ჯანსაღი ცხოვრების წესის და სპორტის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში. სპორტული ინფრასტრუქტურის მხრივ მასშტაბურ პროექტებს ვახორციელებთ და ამ მხრივ ყოველთვის მაქსიმუმი გაკეთდება. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს სამტრედიელ მეგობრებს, იმედა ნიკურაძეს და სერგო რუხაძეს გამოჩენილი ყურადღებისათვის და საჩუქრებისთვის". – მედიასთან კომენტარში განაცხადა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ.

იმ დღესვე კალათბურთში და ფეხბურთში საჩვენებელი თამაშები გაიმართა.

6060 ნანოტაშვილი

პირველი მედალი ევროპის რეგიონატზე

სამტრედიელი ედემი ბოლქვაძე 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანია.

ევროპის 2023 წლის ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრების წევრთაგან პირველი მედალი სწორედ მან მოიპოვა. თავისუფალი სტილით ტილობაში ედემ ბოლქვაძემ თურქეთის, ბულგარეთის, შვეიცარიის და რუმინეთის წარმომადგენლებთან იასპარეზა, ჩატარებული 4 შეხვედრიდან 3 მოიგო და ზაგრებში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ ედემი ბოლქვაძე იანვარში, 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში, საქართველოს ჩემპიონი გახდა და ოქროს მედალი მოიპოვა. პერსპექტიულ ძალოსანს ბიძინა მელაშვილი და ზაზა არქანიაც წვრთნიან.


6060 ნანოტაშვილი



ნათო მიჭაქუს!

დიდი სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს ჩვენი "კარის მეზობელს", მხიარულ და გულისხმიერ ქალბატონს. წელთა მატება, სიხარულიანი დღეების სიმრავლე, ბედნიერი ოჯახის დიასახლისობა და რკინის ჯანმრთელობა დაგებედოს ჩვენო ნატალია!

"სამტრედიის მაცნე"



მესამე ვაღით

პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში უეფას 47-ე კონგრესზე გამართულ არჩევნებში მესამედ ოთხი წლის ვადით უეფას პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს სლოვენელი ალექსანდერ ჩეფერინი.

ლევან კობიაშვილის აღიარება

ამავე კონგრესზე ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად ოთხი წლის ვადით აირჩიეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი

იორამ ნიკოლეიშვილი

რედაქციის მისამართი:
 სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
 ტელ: 599 02 41 11

მაცნე
 საპარალიმპიკი

დირექტორი	ბეჟან ბოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჯელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან ბაბუნაშვილი
კომპიუტერული გრაფიკა	მამა პაპავა